

1-ლი თავის ნაწილები წიგნიდან "სოციალური და ემოციური განვითარება - პრაქტიკისა და მეცნიერული ცოდნის დაკავშირება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში", დეივ რილი, რობერტ სან ხუანი, სოან კლინკერი, ენ რამინგერი ("Social and Emotional Development – Connecting Science and Practice in Early Childhood Settings", by Dave Riley, Robert San Juan, Soan Klinker, Ann Rammingier). მასალა დაეხმარება სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლებს გაიაზრონ ისეთი მნიშვნელოვანი ცნება, როგორცაა "მიჯაჭვულობა" ბავშვის ადრეული აღზრდისა და განვითარების სფეროში

## **რატომ აგვყავს ხელში ატირებული ბავშვი? მიჯაჭვულობა და ძიება**

იმისათვის, რომ პატარა ბავშვმა სამყაროს კვლევა-ძიება მშვიდად შესძლოს, მას აუცილებლად სჭირდება სანდო საყრდენი, ანუ ადამიანი/ადამიანები, რომელთანაც სანდო კავშირს, მიჯაჭვულობას განიცდის: ორი წლის ჯინა მამასთან ერთად ბაგა-ბაღს ეწვია. სანამ მამა მასწავლებელ ჯოანს ესაუბრება, ჯინა მის ფეხზეა მიკრული და ოთახს ათვალიერებს. მის ყურადღებას იპყრობს ორი გოგონა, რომლებიც თავზე შემოსაკრავ ზონარს ფოთლებს აწებებენ. ჯინა ხელს უშვებს მამის ფეხს და გოგონების მაგიდასთან მიდის. უეცრად ძლიერი დარტყმის ხმა გაისმა ოთახში \_ ბავშვების სათამაშო ზონაში იატაკზე ქოთანს დავარდა. ჯინა მირბის მამისკენ და ექაჩება, უნდა, რომ წაიყვანოს აქედან. მამას ხელში აჰყავს; დანარჩენი ბავშვები ჩერდებიან, უყურებენ, თუ რამ გამოიწვია ხმაური, შემდეგ შეხედავენ ორ მასწავლებელს, რომლებიც დამამშვიდებელი ღიმილით უყურებენ ბავშვებს. ორი წუთის შემდეგ ჯინა აცმუკდება, ძირს დასმას მოითხოვს და ისევ გაბედავს ძიების გაგრძელებას.

## **რა არის მიჯაჭვულობა და რატომ არის ის მნიშვნელოვანი?**

ასეთი სცენა ყოველდღიურად მსოფლიოს ყველა კუთხეში თამაშდება, რადგან ჯინასა და მამამისის ქცევა ადამიანების სოციალური განვითარების უნივერსალური ნიმუშის ნაწილია. კერძოდ, ასეთი ქცევები გვიჩვენებენ ჩვენი ორი ქცევითი სისტემის \_ მიჯაჭვულობისა და ძიების \_ ამოქმედებას. ჩვენ ვიცით, რომ ჯინას მამასთან საიმედო მიჯაჭვულობა აკავშირებს, რადგან ბავშვი მას ძიების დასაწყებად უსაფრთხო საყრდენად იყენებს და როცა შემინდება, ნუგეშს მასთან ეძებს. ასეთივე მიჯაჭვულობა აკავშირებს ოთახში მყოფ სხვა ბავშვებს მასწავლებლებთან, მათ შეუძლიათ იმითაც კი დამშვიდდნენ, როცა ოთახს თვალს მოავლებენ და შენიშნავენ, რომ მასწავლებელი მათ გვერდით არის და საჭიროების შემთხვევაში მშვიდი ღიმილით ან რაიმე სხვა ქმედებით ამხნევენ. მარტივად რომ ავხსნათ, მიჯაჭვულობა არის ხანგრძლივი და ემოციურად ძლიერი კავშირი ორ ადამიანს შორის. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული კავშირია პატარა ბავშვებსა და იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მათზე ზრუნავენ.

მიჯაჭვულობის შესახებ კვლევა გვამღევეს სასარგებლო და მოულოდნელ ინფორმაციას ურთიერთობების შესახებ. პატარა ბავშვები ძლიერ მიჯაჭვულობას

ამყარებენ არა მხოლოდ თავიანთ მშობლებთან, არამედ სხვა ადამიანებთან, რომლებიც მათზე მუდმივად ზრუნავენ, მათ შორის ბაღის მასწავლებლებთან. ეს მიჯაჭვულობა დიდ გავლენას ახდენს ბავშვების მომავალზე. მაგალითად, ბავშვები, რომლებსაც საიმედო მიჯაჭვულობა აკავშირებს ერთ ან რამდენიმე მომვლელთან თორმეტი თვის ასაკში, უფრო დამყოლი არიან, როცა ფეხს აიდგამენ, უფრო ცოტას ჩხუბობენ სკოლამდელ და სასკოლო ასაკში და ინტელექტუალურად კარგად ვითარდებიან ადრეული ბავშვობის ასაკში. პირველ მასწავლებლებთან ბავშვების მიჯაჭვულობა ასევე განაპირობებს მათ ურთიერთობას მომდევნო მასწავლებლებთან, რადგან ეს პირველი ურთიერთობა მომდევნოსთვის მაგალითს ქმნის. ჩვენ შეგვიძლია ლოგიკურად დავასკვნათ, რომ ყველაზე გავლენიანი მასწავლებელი ბავშვის ცხოვრებაში (მშობლის შემდეგ) არის ის, ვინც უდიდეს გავლენას ახდენს მის სწავლასა და წარმატებაზე, არის მისი პირველი მასწავლებელი ადრეულ ბავშვობაში.

### *მიჯაჭვულობის ნიშნები*

იმისათვის, რომ მიხვდეთ, ბავშვი მოჯაჭვულია თუ არა თქვენზე, უნდა დააკვირდეთ შემდეგ ნიშნებს:

- ბავშვი გიყურებთ და მოიწევს თქვენკენ, როცა დაშორდებით.
- ბავშვი გეკვრით, როცა ნაწყენია და თქვენთან სიმშვიდეს ეძებს.
- როცა თქვენთანაა, ბავშვი უსაფრთხოდ გრძნობს თავს და იწყებს გარემოს დათვალიერებასა და ძიებას.

### **ადრეული ასაკის ბავშვთა განათლება: ურთიერთობაზე დამყარებული სამუშაო**

ყველას გვინახავს, როცა მშობლები ბავშვს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში პირველად ტოვებენ და შეგვიძლია მათი გრძნობებისა და დისკომფორტის გაგება. ჩვენი „კატარის“ უცნობებისათვის დატოვება, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს ადამიანურ ინსტინქტებს ეწინააღმდეგება. მშობლებს შეიძლება უკეთესად ეგრძნოთ თავი, მასწავლებელი მათი ოჯახის წევრი რომ ყოფილიყო, მაგალითად, ბავშვის საყვარელი დეიდა ან ძმა, მაგრამ, ჩვეულებრივ, პირველ დღეს მასწავლებელი უცხოა როგორც მშობლისთვის, ისე ბავშვისთვის. ბავშვის თქვენს მზრუნველობაში დატოვება მშობლისგან სრულ ნდობას მოითხოვს. უფრო მეტიც, მშობელს უნდა სჯეროდეს, რომ მისი ბავშვი საკუთარი შვილივით გეყვარებათ და დაიცავთ.

### **რა გავლენას ახდენს მიჯაჭვულობა სწავლაზე**

ბავშვებისათვის (ხანდახან უფროსებისთვისაც) მიჯაჭვულობა და ძიება მოიცავს ერთმანეთის საპირისპირო მოტივაციებსა და ქცევებს. მიჯაჭვულობა მომდინარეობს სურვილისაგან, თავის მომვლელთან ახლოს იყოს და თავი უსაფრთხოდ იგრძნოს. ძიება კი მოდის სურვილისაგან, გაბედოს და შეისწავლოს სამყარო. ბავშვები ორივეს ინსტინქტურად აკეთებენ.

ბავშვები ინსტინქტურად ქმნიან ბალანსს თავიანთ ცხოვრებაში: როცა შიათ, ჭამენ და როცა დანაყრდებიან, წყვეტენ ჭამას. ამის მსგავსად, ბავშვები ბალანსს მიჯაჭვულობასა და კვლევას შორისაც ქმნიან. როცა ბავშვები გადაწყვეტენ კვლევას, ჩვენ ამას საიმედო საყრდენის ქცევას ვუწოდებთ. მომვლელი ბავშვისთვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების საიმედო საყრდენია, ბავშვი ძიების დროს ამ საყრდენთან სიახლოვეს ინარჩუნებს. ბავშვი რისკავს, მაგრამ ამავე დროს დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მომვლელი მხედველობის არეში ჰყავს. თუ ბავშვს რამე შეაწუხებს ან შეაშინებს, ის მიახლოების ქცევას გამოიყენებს და უფრო ახლოს მივა მომვლელთან. ეს შეიძლება იყოს მომვლელთან მიცოცება, მკლავების გაწვდენა ასაყვანად ან წუწუნით მოთხოვნა, რომ მომვლელი მასთან მივიდეს. ბავშვები ზრდასთან ერთად თავიანთი მოვლელებისაგან უფრო შორს ბედავენ წასვლას, მაგრამ ისევ იყენებენ ქცევის ამ სისტემას, რათა მიჯაჭვულობასა და ძიებას შორის ბალანსი შეინარჩუნონ (გავიხსენოთ თანამედროვე მოზარდები და მობილური ტელეფონები!)

მიჯაჭვულობასა და ძიებას შორის კავშირი შეიძლება დავინახოთ როგორც ბალანსის შიგნით, ისე გარეთ. მაგალითად, გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ბავშვების უმეტესობა უფრო ნაკლებს თამაშობს და იკვლევს გარემოს, როცა მომვლელი ტოვებს ოთახს. ამის საშუალებით შეგვიძლია, ავხსნათ, რომ მომვლელებთან საიმედოდ მიჯაჭვული ბავშვები ეძიებენ უფრო მეტს და უფრო მეტსაც სწავლობენ. თავის დაცულად გრძნობა ძიების შესაძლებლობას იძლევა. მკვლევრების ერთმა ჯგუფმა გამოარკვია, რომ ის ბავშვები, რომლებსაც უფროსებთან დადებითი და საიმედო მიჯაჭვულობა აკავშირებს, ჩვიდმეტი წლის ასაკამდე აზროვნების ტესტში უკეთეს შედეგებს იძლევიან. ბალის მასწავლებლები ბავშვებისათვის დახმარებით, რომ თავი დაცულად და სხვისი მზრუნველობა იგრძნონ, მათ სწავლის შემდგომი ეტაპისთვის ამზადებენ.

როცა ბავშვები ახალი მიღებული არიან ბაღში, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ მიჯაჭვულობის გავლენა ძიებაზე. რეალურად, ისიც კი, როგორ შორდება მშობელი ბავშვს, როცა მას ბაღში ტოვებენ, ბავშვის ქცევას ცვლის. ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში მკვლევრები დააკვირდნენ, როგორ ამზადებდნენ დედები თავიანთ ორი წლის შვილებს ხანმოკლე განშორებისათვის. როცა დედები ოთახიდან უსიტყვოდ გადიოდნენ, ბავშვები უფრო ცოტას თამაშობდნენ და უფრო ხშირად ტიროდნენ. ამის საპირისპიროდ, როცა დედები ეუბნებოდნენ თავიანთ პატარებს, რომ მიდიან და

მალე დაბრუნდებიან, ან შეუთანხმდებოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ მათი არყოფნის დროს, ბავშვები უფრო მეტს თამაშობდნენ და ნაკლებს ტიროდნენ. შესაძლოა, გაპარვა უფრო ადვილია მშობლისათვის, მაგრამ ამ დროს ბავშვი ნაკლებად დაცულად გრძნობს თავს. ასე რომ, ისინი ადვილად ვედარ ერთობიან ან იკვლევენ გარემოს.

### კავშირი სწავლასთან

ადრეული ბავშვობის წლებში სწავლა დამოკიდებულია აღმზრდელითი ურთიერთობის ფორმირებაზე. მაგალითად, ბავშვს შეიძლება უნდოდეს, შეხედოს „საშიშ ხვლიკებს“ მხოლოდ მაშინ, როცა თქვენ მისი ხელი გიჭირავთ ან როცა ხელში აყვანილი თქვენს თეძოზეა მოკალათებული. ან კიდევ, ბავშვი შეიძლება შეშინდეს და ვერ ჩაერთოს სხვა ბავშვებთან თამაშში, მაგრამ მომვლელის გვერდით დგომა და ყურება მისთვის საიმედო დასაყრდენს ქმნის და ის თამაშს უერთდება. ენის, ლოგიკისა და რიცხვების სწავლასაც კი საფრთხე ემუქრება, თუ ბავშვი საკმაოდ დაცულად არ გრძნობს თავს, რათა გამოიკვილოს და დიდი გულისყურით მოეკიდოს მის შესწავლას. უპირველეს ყოვლისა, ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ ის უყვართ და დაცულია.

ცხრილი 1.1 მიჯაჭვულობის განვითარების ეტაპები ბოულბის მიხედვით:

ეტაპი	ასაკი (თვეები)	ბავშვის ქცევა
1. მიჯაჭვულობის წინა პერიოდი	0-2	სხვა ადამიანებისათვის გარჩევის გარეშე ყურადღების მიქცევა
2. მიჯაჭვულობის განვითარება	2-7	ნაცნობი ადამიანების ცნობა
3. აშკარა მიჯაჭვულობა	7-24	განშორებაზე პროტესტის გამოთქმა, უცნობებისადმი სიფრთხილისა და შიშის ზრდა
4. მიზანმიმართული თანამშრომლობა	24-ის შემდგომი	მომვლელის მოთხოვნილებების გაგება: ორმხრივი ურთიერთობები

wyaro: Schaffer, H. R. 1996. Social Development, 129. Oxford Blackwell Publishers.

### როგორ ვითარდება მიჯაჭვულობა

მიჯაჭვულობა, რომელიც ვითარდება ბავშვებსა და მათ მომვლელებს შორის განსხვავდება იმ ურთიერთობებისაგან, რაც ვითარდება ძუძუმწოვრების უმრავლესობაში. ბატები და ცხვრები დანახვისთანავე იმახსოვრებენ პირველივე რეაგირებად ობიექტს და მისდევენ მას, სადაც უნდა წავიდეს. ხოლო ადამიანების კავშირი დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ნელ-ნელა ვითარდება.

დაბადებიდან პირველ თვეებში ბავშვები სწრაფად ივიწყებენ მშობლებსა და მომვლელებს, როცა ისინი მათთან არ არიან. მათ ეს გულმავიწყობა ყველაფრის მიმართ ახასიათებთ. ბავშვები ფიქრობენ მხოლოდ იმ საგნებზე, რასაც ხედავენ. უფრო მეტიც, თუმცა მათ მოსწონთ ადამიანებთან ყოფნა, მათთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იზრუნებს მათზე, თუ ეს მომვლელი მისი მოთხოვნილებების მიმართ ყურადღებიანი იქნება. ჩვენ ამ პერიოდს ვუწოდებთ განურჩეველ მიჯაჭვულობას. თქვენ ხშირად შენიშნავთ ამ ქცევას, როცა ბავშვები აპროტესტებენ დასაძინებლად დაწოლას. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ წაიყვანს დასაძინებლად, ისინი ერთნაირად აპროტესტებენ.

სამი ან ოთხი თვის ასაკიდან ბავშვები ნაცნობ ადამიანებს ცნობენ, როცა ისინი ისევ გამოჩნდებიან. როცა გვხედავენ, ბავშვები „სოციალური ღიმილით“ გვაჯილდოებენ. მაგრამ თუ რამეს არ ხედავენ ან არ ესმით, პატარებს გონებაში წარმოსახვა არ უჩნდებათ. ისინი ამართლებენ ანდაზას: „თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც შორდებაო“. პირველი ექვსი თვე ბავშვები გონებაში აგროვებენ იმ კონკრეტული ადამიანების წარმოსახვით სურათებს, რომლებსაც ენდობიან. დაახლოებით ექვსი-რვა თვის ასაკში მათ უვითარდებათ კონკრეტული მიჯაჭვულობა გარკვეულ ადამიანებთან და ამ ადამიანებზე უფრო განსხვავებულად რეაგირებენ, ვიდრე სხვებზე.

## **მონატრების უნარი**

კონკრეტული მიჯაჭვულობის განვითარება მნიშვნელოვანია მშობლებთან განშორებისას ბავშვის რეაქციაში. ჩვილი პროტესტს გამოხატავს, როცა მშობელი გადის ოთახიდან, მაგრამ ეს პროტესტი დიდხანს არ გაგრძელდება. მაგრამ როგორც კი მათ კონკრეტული მიჯაჭვულობა ჩამოუყალიბდებათ და მშობელს დაიმახსოვრებენ, ბავშვების შფოთვა მშობლებთან დაშორებისას უფრო ძლიერდება და უფრო მეტხანს გრძელდება. ბავშვები პირველად ხვდებიან, რომ ობიექტები (მათ შორის, ადამიანები) არსებობენ მაშინაც კი, როცა მათ ვერ ხედავენ. პედიატრის მედლების თქმით, საავადმყოფოში განთავსებული ექვს თვემდე ასაკის ბავშვები უფრო ადვილად წყნარდებიან და მშვიდდებიან, როცა მშობლებს შორდებიან. მაგრამ რვა თვის ასაკის შემდეგ მათი დაწყნარება უფრო რთული ხდება. ბავშვთა ზრუნვის ცენტრის თანამშრომლები ასეთ ქცევას შვიდი თვის ასაკიდან ამჩნევენ. მაგალითად, ძირითად მომვლელთან განშორებისას ჩვილების უმრავლესობა ახალ გარემოში პირველივე დღიდან ცდილობს კონტაქტის დამყარებას. თუ ვერ მოახერხებენ, ტირიან და პროტესტს გამოხატავენ ჩვეულებრივ რამდენიმე საათის განმავლობაში, მაგრამ შესაძლებელია პროტესტი რამდენიმე დღეც გაგრძელდეს. ამგვარად, ბავშვზე

ზრუნვის დაწყება ექვსი თვის ასაკამდე უფრო ადვილია ბავშვისთვისაც და უფროსისთვისაც. თუმცა ეს კვლევით არ არის დამტკიცებული, ინტუიციით ვგრძნობთ.

## **იმედისმომცემი პრაქტიკა, ნდობის ჩამოყალიბება ახალ ურთიერთობებში, რას ვხედავთ**

შვიდი თვის მარკუსი პირველი დღეა, რაც ბაგაში მოიყვანეს. ის მთელი დილა ტირის, მარია მასწავლებელს ის ხელში უჭირავს, ჩურჩულით იმეორებს მის სახელს და ეუბნება: „დამშვიდდი, მე აქა ვარ“. ის უმღერის პატარას დაბალ ხმაზე და გულში იკრავს. როცა ჩვენ ერთი კვირის შემდეგ ვზრუნდებით ცენტრში, ვხედავთ, მარკუსი ხოხავს ხალიჩაზე და სხვა ბავშვებს უყურებს.

### *რას ნიშნავს?*

ბავშვებს სჭირდებათ, რომ დაცულად იგრძნონ თავი, სანამ რამეს გააკეთებენ. მარიას შეეძლო ატირებული ბავშვი სარწვეველაში ჩაეწვინა ან მაღალ სკამზე დაესვა, მაგრამ მან ბევრად უკეთესი რამ გააკეთა. მასთან სიახლოვით ბავშვმა საიმედოდ და მშვიდად იგრძნო თავი. თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების (მარკუსის ძირს დასმის) ნაცვლად, მან ბავშვის მოთხოვნილებები დააკმაყოფილა. გარკვეული დროის შემდეგ ბავშვმა მასწავლებელში, რომელიც გულისხმიერად მოეპყრო და დაამშვიდა, ძიებისათვის საიმედო დასაყრდენი იპოვა. შფოთვა შემცირდა და დაიწყო ძიება და სწავლა. ბავშვი, რომელიც პატარა ჯგუფებზე და ზრდასრული ასაკის ადამიანისა და ბავშვის დაბალ ფარდობაზეა გათვლილი, ხელს უწყობს მასწავლებელთა ასეთ საუკეთესო პრაქტიკას.

კონკრეტული მიჯაჭვულობის პერიოდში ბავშვი ამყარებს ძლიერ მიჯაჭვულობას ერთზე მეტ ადამიანთან, მაგალითად, მშობლებთან, ბაგის მასწავლებელთან, ბებია-ბაბუასთან ან უფროს და-ძმასთან, თუ ისინი მუდმივად ზრუნავენ ბავშვზე.

ბავშვი, რომელიც ადრე უცნობებს უცინოდა, მათ დანახვაზე თანდათან ნერვიულობას იწყებს და ეშინია კიდეც მათი. ამ ქცევით ბავშვები გვიჩვენებენ, რომ „ადამიანები საზოგადოდ ურთიერთშენაცვლებადი არსებები არ არიან და მათ მიჯაჭვულობა აკავშირებს მხოლოდ კონკრეტულ ადამიანთან“.

ჩვენ ხშირად ვფიქრობთ, რომ მიჯაჭვულობა მყარდება მხოლოდ ჩვილობისა და ახალფეხადგმულობის ასაკში. მაგრამ როცა ბავშვი იზრდება, ისეთი ურთიერთობების ჩამოყალიბების სურვილი, სადაც ის თავს საიმედოდ და ღირებულად მიიჩნევს, ისევ რჩება. დროთა განმავლობაში ურთიერთობა უფრო სრულყოფილი და უფროსების ურთიერთობების მსგავსი ხდება. სკოლამდელ ასაკში

(დაწყებული ორი წლის ასაკიდან) ბევრი ბავშვი უფროსებთან ურთიერთობაში უფრო დამოუკიდებელი და უფროსთან თანამშრომლობის მოსურნე ხდება. იმ დროს, როცა პატარა ბავშვებს დასამშვიდებლად სჭირდებათ თავიანთ მომვლელებთან ფიზიკური მიკვრა, სკოლამდელი ასაკის ბავშვებს უყალიბდებათ შინაგანი რწმენა, რაც მათ უფრო მეტ დამოუკიდებლობას აძლევს. ნდობა, რომელიც მათ უვითარდებათ თავიანთი ძირითადი მომვლელის მიმართ, ეხმარება მათ გადავიდნენ მიზანმიმართული თანამშრომლობის ეტაპზე, რომლის დროსაც ბავშვსა და უფროსს შორის ურთიერთობა ცალმხრივი აღარ არის. ბავშვი ხვდება, რომ მომვლელებს აგრეთვე აქვთ თავიანთი მოთხოვნილებები და ბავშვისა და უფროსის მოთხოვნილებები შეიძლება დაბალანსდეს. ნდობის ზრდა სკოლამდელი ასაკის ბავშვში დილით განშორებას უფრო აადვილებს. ისინი უფრო დამოუკიდებლები არიან, რადგან ესმით, რომ მშობლებს სჭირდებათ მუშაობა და ისინი მოგვიანებით მათთან დაბრუნდებიან. ბავშვსა და მომვლელს შორის ეს ურთიერთობა გადაიქცევა თანამშრომლობად, რომლის დროსაც ისინი ერთმანეთის მიზნებს ანგარიშს უწევენ.

### **საიმედო მიჯაჭვულობის საჩუქარი**

„როცა ყოველდღიური ურთიერთობისას დროთა განმავლობაში კარგად გაიცნობთ თითოეულ ბავშვს, მათი ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებით ბავშვებს საიმედო მიჯაჭვულობის ფასდაუდებელ საჩუქარს ჩუქნით. ეს საჩუქარი გარდაიქმნება ბავშვის გამბედაობად, ცოდნად, მეგობრობად, შესაძლებლობად, რომ ცხოვრებისეულ სირთულეებს გაუმკლავდეს, უკეთესი ურთიერთობა დაამყაროს თანატოლებსა და უფროსებთან და მათი გრძნობები გულთან ახლოს მიიტანოს \_ ეს არის თვისებები, რომელიც თითოეულ მომვლელს სურს, რომ ბავშვს ჩამოუყალიბდეს!“

### **განსხვავებები ადრეულ მიჯაჭვულობაში**

მიჯაჭვულობა განსხვავდება არა მარტო სიძლიერით, არამედ ტიპებითაც. საიმედო მიჯაჭვულობა ყველაზე მეტად გავრცელებული ტიპია. თუმცა არსებობს არასაიმედო მიჯაჭვულობის ორი ტიპიც: თავის ამრიდებელი და წინააღმდეგობის გამწევი. თითოეული მათგანი მშობლებისა და ბავშვების სხვადასხვა სახის ქცევას გვიჩვენებს.

პატარა ბავშვისა და მომვლელის ხელახლა შეხვედრის ყურებით შეგიძლიათ საიმედო მიჯაჭვულობის განმასხვავებელი ძირითადი ნიშნის შემჩნევა. საიმედოდ დაკავშირებული წყვილის შემთხვევაში ბავშვი დაუყოვნებლივ მიდის მომვლელთან, სადაც სიმშვიდეს ეძებს და პოულობს კიდევ. მომვლელს აქვს უნარი, მასთან დაშორების გამო აღელვებული ბავშვი დაამშვიდოს.

არასაიმედოდ მიჯაჭვულ წყვილს ურთიერთობების ნაკლები უნარი აქვს. ზოგიერთმა ჩვილმა და ახალფეხადგმულმა ბავშვმა შეიძლება გვერდზე გაიხედოს ან სრულიად არ მიაქციოს ყურადღება მომვლელს, როცა ისინი კვლავ შეხვედებიან ერთმანეთს (მშფოთვარე-თავის ამრიდებელი მიჯაჭვულობის მსგავსად). ან კიდევ ბავშვი შეიძლება მომვლელისკენ წავიდეს და ხელებიც გაუწვდინოს, მაგრამ მომვლელი როგორც კი ხელში აიყვანს, ის არ დაწყნარდება და მომვლელს ხელს კრავს (მშფოთვარე-წინააღმდეგობის გამწევი მიჯაჭვულობის მსგავსად). არასაიმედოდ მიჯაჭვული უფროსისა და ბავშვის წყვილში უფროსი ნაკლებად ახერხებს ბავშვის დაწყნარებას და ნაკლებად ქმნის ძიების საიმედო საფუძველს. თუმცა ჩვილები და ახალფეხადგმული ბავშვები შესაძლოა ძლიერად იყვნენ მიჯაჭვული უფროსებზე, მაგრამ შესაძლებელია, ეს მიჯაჭვულობა არ იყოს საიმედო.

*როგორ შეიძლება ჩვილი ძლიერად, მაგრამ არასაიმედოდ იყოს მიჯაჭვული?*

წარმოვიდგინოთ წყვილი, რომელიც გამუდმებით ჩხუბობს, მაგრამ ერთმანეთს არ შორდება. მაგალითად, ქალს სცემს მეგობარი მამაკაცი, მაგრამ ქალი მაინც არ შორდება. ასეთი წყვილი ჰგავს უფროსებთან მშფოთვარედ მიჯაჭვულ ბავშვებს. წყვილი ძლიერად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ ეს კავშირი არასაიმედოა. ფაქტობრივად, მკვლევრებს სჯერათ, რომ ადრეულ ბავშვობაში მშფოთვარე მიჯაჭვულობა მომავალში უფროსების რომანტიკულ ურთიერთობებში პრობლემებზე მიგვანიშნებს.

*თუ ბავშვს ტირილისთვის დავაჯილდოებ, ის უფრო მეტს არ იტირებს?*

ბევრს მშობელსა და მასწავლებელს აღელვებს ეს საკითხი. ისინი მიიჩნევენ, რომ თუ თქვენ ბავშვის ყველა ტირილს მიაქცევთ ყურადღებას, ის ტირილისთვის დაჯილდოებული იქნება და უფრო მეტს იტირებს. როცა მკვლევრებმა ეს შეისწავლეს, მათ საწინააღმდეგო მიგნება გააკეთეს: თუ თქვენ გამუდმებით აკმაყოფილებთ ბავშვის საჭიროებებს, მაგალითად, რეაგირებთ მის ტირილზე, ბავშვი უფრო ნაკლებად ტირის. ამ დასკვნას ზემოთ განხილული მიჯაჭვულობის თეორია ამტკიცებს.

ბავშვები ინსტინქტურად ტირიან, როცა მათ რაღაც სჭირდებათ. უფროსებს ინსტინქტურად არ მოსწონთ ეს ტირილი და უნდათ, რომ რაღაც მოიმოქმედონ. ეს არის ერთ-ერთი გზა, რითაც ბუნების კანონს ვასრულებთ, რომ ჩვენ კარგ საქმეს ვაკეთებთ მომავალი თაობის აღზრდით. კვლევამ დაამტკიცა, რომ ეს თანდაყოლილი სურვილი, რეაგირება მოვახდინოთ ბავშვის ტირილზე, საჭირო ინსტინქტია.

**უნდა ვასწავლოთ თუ არა ბავშვს, რომ უფრო დამოუკიდებელი გახდეს**

ისევ და ისევ, ლოგიკურია, რომ ბავშვებს ვასწავლოთ, შეძლონ საკუთარი თავის დამშვიდება და ამით დაეხმაროთ, გახდნენ უფრო დამოუკიდებლები. კვლევამ ცხადყო, რომ ბავშვის დაბადებიდან პირველ წლებში სწორედ საპირისპირო გარემოებასთან გვაქვს საქმე. ჩვილები, რომლებსაც საიმედო მიჯაჭვულობა აკავშირებს მომვლელებთან, რადგან მომვლელები მუდმივად და მთელი გულისყურით რეაგირებენ მათ მოთხოვნილებებზე, უფრო დამოუკიდებლები არიან ფეხის ადგმის შემდეგ და სკოლამდელ ასაკში. ბავშვები, რომელთა საჭიროებები ვერ კმაყოფილდება, უფროსებს არიან ჩაბლაუჭებული. ბავშვის დამოუკიდებლობის ჩამოყალიბების საუკეთესო გზა მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და დამშვიდებაა.

მაგრამ უნდა ვასწავლოთ თუ არა ბავშვს, რომ მე უფროსი ვარ და ბავშვი ვერ გამაკონტროლებს თავისი ტირილით

ბოდიში, მაგრამ ბავშვები ასე არ ფიქრობენ! ზრდასრულმა ადამიანებმა შეიძლება იფიქრონ კონტროლისა და ძალაუფლების შესახებ, მაგრამ ჩვილები მხოლოდ თავიანთ მოთხოვნილებებზე რეაგირებენ. ჩვილები იმიტომ კი არ ტირიან, რომ თქვენ ცუდად იგრძნობთ თავი, არამედ იმიტომ, რომ თავად გრძნობენ თავს ცუდად (როცა არიან მშვიდები, დაღლილები, ჩასველებული, ძალიან აქტიურები, გაბრაზებულები და ასე შემდეგ). სხვაგვარად გვაქვს საქმე ახალფეხადგმულ ბავშვებთან. მათი უეცარი გაბრაზება ნამდვილად შეიძლება ძალაუფლებისთვის ბრძოლა იყოს!

### **საიმედო მიჯაჭვულობის დადებითი თვისებები**

ჩვილებისა და ახალფეხადგმული ბავშვების დაახლოებით 70% საიმედოდ არის მიჯაჭვული ერთ ან ორივე მშობელთან. ეს მნიშვნელოვანია მათი ჯანმრთელობისა და შემდგომი განვითარებისათვის. მკვლევართა ჯგუფი ბავშვებს ჩვილობიდან მოზრდილობის ასაკამდე დააკვირდა და გამოიკვლია, რომ ბავშვობაში ერთ ზრდასრულ ადამიანთან მაინც საიმედო მიჯაჭვულობის არსებობა შემდგომ წლებში უკეთეს სოციალურ ურთიერთობებსა და ინტელექტის უკეთეს განვითარებას განაპირობებს. რამდენიმე კვლევამ გვიჩვენა, რომ ბაგა-ბაღის მასწავლებელთან ბავშვის საიმედო მიჯაჭვულობა კიდევ უფრო აძლიერებს მისი მომავლის პროგნოზირებას მაშინაც კი, როცა მას საიმედო მიჯაჭვულობა აკავშირებს მშობლებთანაც. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება ყველაზე დიდ პოტენციურ შესაძლებლობას ავლენს იმ ბავშვებთან, რომლებიც არც ერთ მშობელთან არ არიან საიმედოდ მიჯაჭვული. ასეთი ბავშვებს, რომელთა რაოდენობა, უხეშად რომ ვთქვათ, ხუთი ბავშვიდან ერთია – სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში მუდმივ მომვლელთან საიმედო ურთიერთობა განვითარების ახალ შესაძლებლობას აძლევს. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ბავშვების საერთო

რაოდენობის ნახევარი, რომლებსაც ოჯახში არ გააჩნიათ საიმედო მიჯაჭვულობა, ამ ტიპის მიჯაჭვულობას ბაღის მასწავლებელთან აყალიბებენ.

*საიმედოდ მიჯაჭვული ბავშვები უფრო დამთმობები არიან უფროსებთან*

ბავშვებისთვის თხოვნის შესრულების სწავლება როგორც მშობლების, ისე მასწავლებლების მნიშვნელოვანი ამოცანაა. ერთ-ერთმა კვლევამ გვიჩვენა, რომ საიმედოდ მიჯაჭვული ბავშვები უფრო დამთმობები არიან ახალფეხადგმულობისა და სკოლამდელ ასაკში, ვიდრე არასაიმედოდ მიჯაჭვული ბავშვები. ისინი უფრო დამთმობები არიან არა მარტო თავიანთ მშობლებთან, არამედ სხვა უფროსებთანაც.

კიდევ უფრო საინტერესოა, რომ საიმედოდ მიჯაჭვულ ახალფეხადგმულ ბავშვებს თავიანთი ქმედების უფრო დიდი „შინაგანი კონტროლი“ ახასიათებთ. ეს ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ ისწავლონ თვითონვე, როგორ იმოქმედონ სიტუაციის შესაბამისად. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი მიზანია, რომ ბავშვები წესებს დაემორჩილონ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ მათ ვუყურებთ. ჩვენი მიზანი წესების გათავისებობით დროთა განმავლობაში ბავშვებში თვითკონტროლის ჩამოყალიბებაა. მკვლევრებმა ეს შესაძლებლობა ახალფეხადგმულ ბავშვებში გამოცადეს, როცა მათ აკვირდებოდნენ ოთახში, სადაც ვენტილატორი ბრუნავდა. მათ თითოეულ ბავშვს სთხოვეს, არ შეხებოდნენ ვენტილატორს (რა თქმა უნდა, ყველა ბავშვს სურდა შეხება). საიმედოდ მიჯაჭვული ბავშვები მიუახლოვდნენ ვენტილატორს, მაგრამ შემდეგ შეძლეს შეჩერება, არასაიმედოდ მიჯაჭვულმა ბავშვებმა კი ეს ვერ მოახერხეს (რა თქმა უნდა, არც ერთ ბავშვს არ დართეს ნება, შეხებოდნენ ვენტილატორს).

ბავშვებმა საიმედო ურთიერთობების დროს შეიძლება თავიანთი თავი მომვლელთან გააიგიონ. მათ უნდათ, მომვლელს ჰგავდნენ და დიდი სურვილი აქვთ, ასიამოვნონ მათ. ამ მიზნით ბავშვებს ასწავლიან, რომ უფრო გახსნილები იყვნენ და დაეთანხმონ მომვლელის მოთხოვნებს, რადგან ისინი ენდობიან და აფასებენ მომვლელებს. ეს ორმხრივი ნდობა და ზრუნვა ეხმარება საიმედოდ მიჯაჭვულ ბავშვებს, თავიანთი სურვილები მომვლელებისას შეუსაბამონ და ამგვარად ყველას მოთხოვნილებები კმაყოფილდება. მაგალითად, როცა ახალფეხადგმული ბავშვი წუწუნით მოითხოვს წყალს სუპერმარკეტში, მამამ შეიძლება მას უთხრას: „დერეფნის ბოლოს შადრევანია, დამეხმარე საყიდლების შეძენაში და შემდეგ შადრევანთან შევჩერდეთ“. თუ ბავშვს საიმედო მიჯაჭვულობა აკავშირებს მამასთან, ენდობა მამის დაპირებას და წყნარდება, რადგან იცის, რომ მათი ურთიერთობა ერთმანეთის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ეყრდნობა. ამ ეტაპზე ბავშვში ვითარდება „მიზანმიმართული თანამშრომლობა“, როდესაც ბავშვისა და უფროსის მიზნები ერთიანდება. ამის საპირისპიროდ, არასაიმედოდ მიჯაჭვული ბავშვი ფიქრობს, რომ ამ ურთიერთობას

არ შეიძლება ენდოს და უმჯობესია, რაც გსურს, რა გზითაც შეგიძლია, ისე უნდა მოიპოვო სხვა ადამიანისაგან.

*საიმედოდ მიჯაჭვულ ბავშვებს თანატოლებთან უკეთესი ურთიერთობა აქვთ*

თანატოლებთან ურთიერთობის დამყარების სწავლა არის ბავშვობის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა. ეს პროცესი იწყება ცხოვრებაში ძალიან ადრე, სანამ ადამიანი ლაპარაკს დაიწყებს. ის იწყება ბავშვების ემოციური ურთიერთობით იმ ზრდასრულ ადამიანებთან, რომლებიც მათზე ზრუნავენ. ბავშვი, რომელსაც საიმედო მიჯაჭვულობა აკავშირებს უფროსებთან, უფრო მეტი წარმატებით ამყარებენ ურთიერთობას სხვებთან. ისინი უფრო ემპათიურები არიან და მეგობრებს უფრო ადვილად იჩენენ. ისინი სხვას არც ჩაგრავენ და არც დაჩაგრულის როლში ხვდებიან.

მკვლევართა ჯგუფმა შეისწავლა ბავშვების მიჯაჭვულობა ბაგა-ბაღის მასწავლებელთან და აღმოაჩინა, რომ ეს კავშირი განაპირობებს ბავშვის ქცევას ამჟამად და მომავალშიც. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კვლევათა სერიის მიხედვით, ოთხი წლის ბავშვები, რომლებიც საიმედოდ არიან მიჯაჭვული მასწავლებელთან, უფრო რთულ თამაშებში ერთვებიან, უფრო მეგობრულები და ნაკლებად აგრესიულები არიან თანატოლების მიმართ. არ არის გასაკვირი, რომ საიმედოდ მიჯაჭვულ ახალფეხადგმულ ბავშვებს უკეთესი სოციალური ურთიერთობა აქვთ თავიანთ თანატოლებთან. მაგრამ მკვლევრებს გაუკვირდათ იმის აღმოჩენა, რომ მასწავლებელი ბავშვის სოციალურ უნარზე ოთხი წლის ასაკშიც კი ახდენს გავლენას.

### **მიჯაჭვულობის ტიპების შემჩნევა ჯგუფში**

მიჯაჭვულობის ტიპები, რაც პატარა ბავშვებს აკავშირებს მასწავლებლებთან, მათ ქცევებშიც შეინიშნება. საიმედოდ მიჯაჭვული ბავშვები:

- როცა აღელვებული არიან, იოლად მშვიდდებიან.
- ჩვეულებრივ, მასწავლებელი ხელში აყვანით აწყნარებს.
- უეცრად ეხვევიან მასწავლებელს.
- ადვილად ემორჩილებიან უფროსების მითითებებს.
- უზრუნველად და მხიარულად არიან მასწავლებლებთან.

არასაიმედოდ მიჯაჭვული ბავშვები:

- უფრო მეტად ინტერესდებიან საკლასო მასალით, ვიდრე მასწავლებლებთან ან სხვა ბავშვებთან ურთიერთობით.
- ისე იქცევიან, თითქოს არ ესმით, რას ამბობს მასწავლებელი ან ვერ ამჩნევენ, რას აკეთებს ის.
- თავს არიდებენ მასწავლებელთან ხშირ ან ახლო კონტაქტს.
- ვერ პოულობენ სიმშვიდეს მასწავლებლებთან, როცა მათ სტკივათ ან ვინმემ აწყენინა, კიდევ მეტი, თავს არიდებენ მასწავლებელს, როცა ის მათ მიუახლოვდება.

არასაიმედოდ/წინააღმდეგობის გამწევი (ამბივალენტური) მიჯაჭვული ბავშვი:

- ეწინააღმდეგება საკლასო სამუშაოების შესრულებას, მაგალითად, დასუფთავებას.
- არის მომთხონი და მოუთმენელი მასწავლებლების მიმართ და ვერ კმაყოფილდება მისი პასუხებით.
- ტირილით ითხოვს, რომ მასწავლებელმა ის გააკეთოს, რაც მას უნდა.
- ებლაუჭება მასწავლებელს, როცა ის ოთახიდან გასვლას დააპირებს და აგრძელებს ტირილს მისი წასვლის შემდეგაც.

### არასაიმედოდ მიჯაჭვულ ბავშვთან მუშაობა

მშობლებთან არასაიმედოდ მიჯაჭვულ ბავშვებს ასეთივე ურთიერთობა ექნებათ თქვენთან. მათ ნაკლებად აქვთ უნარი, გამოგიყენონ თქვენ, მასწავლებელი, საკუთარი თავის დასამშვიდებლად ან გასაკონტროლებლად. ეს არ არის სასიამოვნო ბავშვისათვის. ასევე, არაკონტროლირებადი ბავშვის ყოლა არ არის სახუმარო თქვენთვის! რა შეიძლება მოიმოქმედოთ?

- თანამიმდევრულად და დაჟინებით განაგრძეთ მუშაობა ბავშვთან ურთიერთობის დასამყარებლად.
- იყავით გულისხმიერი და ყურადღებიანი მის მიმართ.

ცხრილი 1.2 სტრატეგიები, რომლებიც ბავშვებზე ბაგა-ბაღში გადასვლას აიოლებენ ჩვილებსა და იმ პატარებთან, რომლებიც ხობვას სწავლობენ

სტრატეგია	რატომ არის სასარგებლო
პირველი ვიზიტის დროს მშობელი გავამხნევოთ, რომ ბავშვი დაიჭიროს (ან	ეს ბავშვს თქვენთან შესაგუებლად გარკვეულ მანძილსა და დროს მისცემს.

დატოვოს მანქანის სავარძელში).	
ბავშვი დავიჭიროთ ფრთხილად, სახით ჩვენგან საპირისპიროდ.	ბავშვს შეუძლია, დააკვირდეს გარემოს და შეიძლება დაავიწყდეს, რომ უცნობი ხარო.
მიუჩინეთ ძირითადი მომვლელი.	ამყარებს ნდობასა და პროგნოზირებადობას. ბავშვი გრძნობს მეტ კონტროლს.
მიიღეთ მსუბუქად სასაცილო გამომეტყველება და დააკვირდით ბავშვის რეაქციას.	ბავშვის ყურადღებას მიიპყრობთ ისე, რომ არ შეაშინებთ.
ელაპარაკეთ დამამშვიდებელი ტონითა და ჟესტებით ბავშვს.	ამშვიდებს ბავშვს და ამყარებს კავშირებს.
ჩაისვით ბავშვი კალთაში და წაუკითხეთ წიგნები.	მიიპყარით ბავშვის ყურადღება.
იცეკვეთ ბავშვთან ერთად.	რიტმული მოძრაობები ამშვიდებს ბავშვს და მასთან კავშირს ამყარებს.

ახალფეხადგმულ და სკოლამდელ ბავშვებთან

სტრატეგია	რატომ არის სასარგებლო
დააწესეთ დამშვიდობების რიტუალი, რომელიც ყოველდღე უნდა შეასრულონ მშობელმა, ბავშვმა და მასწავლებელმა. მაგალითად, მოსვლისას ბავშვი დაკიდებს პალტოს და მიესალმება მასწავლებელს. ისინი ერთად მიაცილებენ მშობელს კართან და ფანჯრიდან ხელს დაუქნევენ.	ნაცნობი რეჟიმი პროგნოზირებას უზრუნველყოფს. ბავშვს ამ სიტუაციაში აქტიური როლი და მასზე გარკვეული კონტროლის შესაძლებლობა აქვს.

<p>უთხარით ბავშვს, სანამ მშობელი წავა: „მამიკო მიდის სამსახურში, მოგვიანებით დაბრუნდება და შინ წაგიყვანს“.</p>	<p>ამკვიდრებს პროგნოზირებადობასა და ნდობას, აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების გრძნობას.</p>
<p>ესაუბრეთ ბავშვს გრძნობების შესახებ: „მოწყენილი ხარ, რადგან დედა იძულებულია წავიდეს, მაგრამ ის შუადღის ძილის შემდეგ დაბრუნდება“.</p>	<p>ბავშვი იწყებს გაგებას და ამგვარად ნდობა უვითარდება.</p>
<p>ხელთ უნდა გქონდეთ საბანი, პლუმის სათამაშო, საწოვარა ან მსგავსი „უსაფრთხოების“ საგნები.</p>	<p>ეს გარდამავალი ნივთები ქმნიან უსაფრთხოების გრძნობას, ამიტომ მათთან ერთად ბავშვი უფრო დამოუკიდებლად იგრძნობს თავს. ამ ნივთებს გარდამავალს უწოდებენ, რადგან ის ეხმარება ბავშვის გადასვლას სრული დამოკიდებულებიდან მომვლელთან საბოლოო დამოუკიდებლობამდე.</p>
<p>გააცანით მეგობრები.</p>	<p>მეგობრების ყოლა დაამშვიდებს ბავშვს და ყურადღებას გადაატანინებს ალელვებისა და მშობლებთან განშორებისაგან.</p>
<p>მიეცით ბავშვს საყვარელი სათამაშო.</p>	<p>ნებისმიერი ნაცნობი ნივთი დაამშვიდებს ბავშვს. ნაცნობი სათამაშოთი თამაში ბავშვის ყურადღებას მთლიანად მიიპყრობს და გაართობს.</p>
<p>მიეცით ახალი სათამაშო.</p>	<p>ახალი სათამაშო ბავშვის ყურადღებას მიიქცევს და ძიებისკენ უბიძგებს.</p>
<p>ბავშვის ოჯახის წევრების ფოტოები გააკარით იქ, სადაც ბავშვი მის დანახვას შეძლებს.</p>	<p>ბავშვს აკავშირებს სახლსა და ოჯახთან და უწყვეტობის გრძნობას ქმნის.</p>
<p>მასწავლებელი მუდმივად ბავშვთან უნდა იყოს.</p>	<p>ეს ქმნის ნდობასა და პროგნოზირებადობას, ბავშვი უფრო მეტად გრძნობს კონტროლს.</p>

მშობლებთან

სტრატეგია	რატომ არის სასარგებლო
სანამ ბავშვი პროგრამაში ჩაერთვება, შეხვდით მშობლებს ბავშვის განრიგის, რეჟიმისა და იმის გასარკვევად, რას ანიჭებს ბავშვი უპირატესობას.	გამღვეთ ძირითად ინფორმაციას ბავშვის მოვლის შესახებ, დადებითი კომუნიკაციის დამყარებითა და მშობლებში ნდობის ჩამოყალიბებით.
გარკვეული დრო დაუთმეთ სახლიდან ბაღში გადასვლის პროცესს. მშობლებს შეუწყვეთ ხელი, რომ ბავშვის პროგრამაში ჩართვამდე ბაღს ეწვიონ. პირველი დღიდან მოიწვიეთ მშობლები, რათა დროის გარკვეული მონაკვეთი ბავშვებთან დარჩნენ.	ბავშვსა და მშობელს აძლევს დროს, რომ ახალ გარემოში ახალ ხალხთან კომფორტულად იგრძნონ თავი და მათ მიმართ ნდობა ჩამოუყალიბდეთ.
დააწესეთ დამშვიდობების რიტუალი (ბავშვს წაუკითხეთ წიგნი, ან სათამაშოთი გაართეთ მშობლის წასვლის წინ, კართან ერთად მიდით და ყოველდღე ერთი და იგივე დამშვიდობების რიტუალი გამოიყენეთ).	როგორც მშობლებს, ისე ბავშვებს კონტროლისა და პროგნოზირებადობის გრძნობას ანიჭებს.
ბავშვები მშობლებმა მასწავლებელს უნდა გადასცენ - ეს არის რიტუალის მნიშვნელოვანი ნაწილი.	ბავშვებისათვის ეს პასუხისმგებლობის გადაცემის სიმბოლიზებას ქმნის: დროთა განმავლობაში ეს მშობელთა ნდობის სიმბოლიზებას უზრუნველყოფს.
გამოაცხადეთ, როცა მშობელი წავა.	ხელს უწყობს, მშობლებმა დატოვონ ცენტრი და ბავშვებისთვის პროგნოზირებადობას ქმნის.
სთხოვეთ მშობლებს, მოიტანონ ოჯახის წევრებისა და სახლის სურათები კედელზე გასაკრავად და საკლასო ჟურნალში ჩასაწებებლად.	მშობლებისა და ბავშვებისათვის სახლსა და სკოლას შორის უწყვეტობის გრძნობას ქმნის. ამით მშობელს ეუბნებით, რომ ადრეული ზრუნვისა და განათლების პროგრამისათვის მნიშვნელოვანია მთელი ოჯახი და არა მარტო ბავშვი.
მშობელს მიეცით ყოველდღიური განრიგი და/ან გაკვეთილის გეგმა, ასევე ყოველდღიურად გააცანით, რა გამოცდილება შეიძინა ბავშვმა. გამოჰკითხეთ მშობელს, ჩვეულებრივ, რას აკეთებს ბავშვი დღისით ან ღამით.	ეხმარება მშობელს დღის განმავლობაში ბავშვთან უფრო დაკავშირებული და ნაკლებ დაშორებული იყოს და უფრო მეტად თანამშრომლობდეს მასწავლებელთან.
პირველ დღეს მშობელს ფაქსი ან ელექტრონული ფოსტა გაუგზავნეთ.	მშობლები თავიანთ შვილებთან ნაკლებად გრძნობენ განშორებას და უფრო მეტად თანამშრომლობენ მასწავლებელთან. ზრდის ნდობას.
გაატარეთ ღია კარის პოლიტიკა, რაც	მშობლები გრძნობენ, რომ პროგრამაში

მშობლებს საშუალებას მისცემს, ეწვიონ, შეამოწმონ ან მოხალისედ იმუშაონ ნებისმიერ დროს ცენტრში, როცა ამის სურვილი ექნებათ.	მათ მიესალმებიან. უფრო სწრაფად იზრდება ნდობა, მას მერე, რაც აჩვენებთ, რომ თქვენს პროგრამას არაფერი აქვს დასამალი.
გამოიყენეთ თბილი, მშვიდი, ზუსტი მიდგომა, რაც მიაწვდის, რომ „ყველაფერი კარგად იქნება“.	მშობელი და ბავშვი მიხვდებიან თქვენს მინიშნებას, რომ ყველაფერი კარგად იქნება. გაიზრდება ნდობა.

რატომ არის მნიშვნელოვანი ადრეული მიჯაჭვულობა

დიდი ხნით ადრე, სანამ ბავშვები ლაპარაკს დაიწყებენ, ურთიერთობების საშუალებით თავიანთი თავის შესახებ მნიშვნელოვან გაკვეთილებს იღებენ. ისინი ამ გაკვეთილებს ცხოვრებაში ახორციელებენ, როგორც ამ სამყაროს შესახებ თავიანთ წარმოდგენასა და მასში თავიანთ ადგილს.

1. ბავშვები სწავლობენ, რომ მათი მომვლელი საჭირო დროს მათ გვერდით იქნება. უფროსებთან მიჯაჭვული ურთიერთობა ბავშვებს ეხმარება, თავი დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნონ. ბავშვები ხვდებიან, რომ მათ შეუძლიათ ენდონ თავიანთ მომვლელს. თუ საჭირო გახდება, ის მათ დაამშვიდებს და დაეხმარება. ისინი სოციალურ ურთიერთობებში თავდაჯერებულობას სწავლობენ.

2. ბავშვები სწავლობენ, რომ ისინი იმსახურებენ იმ სიყვარულით სავსე ყურადღებას, რასაც იღებენ. ჩვილობიდან სკოლამდე მომვლელის მუდმივი ყურადღება ბავშვებს ასწავლის, რომ მათი სურვილები და საჭიროებები მნიშვნელოვანია. ამ რეგულარული შეტყობინებებით ბავშვები ხვდებიან, რომ ისინი განსაკუთრებული ადამიანები არიან და სიყვარულსა და ყურადღებას იმსახურებენ. მათ უყალიბდებათ საკუთარი თავის რწმენა.

3. ბავშვები სწავლობენ, რას უნდა ელოდნენ სოციალური ურთიერთობისაგან. მკვლევრები ამ მოლოდინებს უწოდებენ „შინაგან მოდელებს“. ისინი გავლენას ახდენენ იმაზე, თუ რას ფიქრობენ ბავშვები სხვა ადამიანებთან მომავალ ურთიერთობებზე და როგორ ქმნიან ამ ურთიერთობებს. მაგალითად, ბავშვს, რომელსაც თავის მომვლელთან ურთიერთობის კარგი გამოცდილება აქვს, იმავე გამოცდილებას ელის სხვა სოციალურ ურთიერთობებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვები თავიანთ მომავალ ურთიერთობებს წარსულში ურთიერთობების მაგალითზე აგებენ.

4. ბავშვები სწავლობენ, როგორ უნდა ჰქონდეთ სათანადო ურთიერთობა სხვა ადამიანებთან. დაახლოებით ექვსი თვის ბავშვი უკვე ამჟღავნებს ადამიანებთან სოციალური კონტაქტის სურვილს. ადრეულ ასაკში უფროსებთან ურთიერთობები

მას ასწავლის, როგორ იურთიერთოს სხვა ადამიანებთან. ჩვილებს მომვლელებთან ურთიერთობები ასწავლის:

- როგორ მიიქციონ სხვა ადამიანის ყურადღება.
- როგორ შენიშნონ ყურადღება ადამიანის სახეზე.
- როგორ შეიცვალონ სხვადასხვა ადამიანთან ურთიერთობისას.

როცა ბავშვები გაიზრდებიან, მათი ურთიერთობები მომვლელებთან უფრო რთული ხდება.

ახალფეხადგმულ და სკოლამდელი ასაკის ბავშვებს მომვლელებთან ურთიერთობები ასწავლის:

- როგორ გაიზიარონ სხვების გრძნობები და როგორ გააკეთონ კომპრომისი.
- როგორ დაამყარონ კომუნიკაცია.
- როგორ გაუმკლავდნენ უარყოფით ემოციებს.

შედარებით უფროს ასაკში მომვლელებთან ურთიერთობის გამოცდილებიდან გამომდინარე ბავშვებს სამყაროსა და მასში თავიანთი ადგილის შესახებ სხვადასხვა შეხედულება უყალიბდებათ („შინაგანი მოდელები“). ეს შეხედულებები შეჯამებულია ცხრილ 1.3-ში.

ცხრილი 1.3

	საიმედოდ მიჯაჭვულები	არასაიმედოდ მიჯაჭვულები
საკუთარ თავზე შეხედულება	მე სიყვარულის ღირსი ვარ.	მე არა ვარ ღირსი.
სხვებზე შეხედულება	სხვა ადამიანები კარგები არიან.	სხვა ადამიანებს არ შეიძლება ენდო.
შეხედულება ურთიერთობებზე	მე ვზრუნავ სხვებზე. მათთან ურთიერთობისას მე ვიცვლები და კომპრომისზე მივდივარ.	მე ვმანიპულირებ სხვებით, რომ მივიღო ის, რაც მინდა.

ადამიანური ურთიერთობის პროფესია

სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებლის სამუშაოს ბევრი საერთო აქვს ადამიანური ურთიერთობების სხვა სპეციალისტების სამუშაოსთან, როგორცაა ექიმი ან მრჩეველი. თქვენი სამუშაოს მიზანია სხვა ადამიანების ემოციური სიჯანსაღისათვის ხელის შეწყობა და ამისთვის თქვენი ყველაზე ძლიერი იარაღია ის ურთიერთობა, რომელსაც თქვენ მათთან აყალიბებთ. სხვა ყველაფერი, რასაც თქვენ აკეთებთ პატარა ბავშვებთან, ნაკლებად მნიშვნელოვანია იმ ურთიერთობასთან შედარებით, რომელიც მათთან გიყალიბდებათ.

ჩვენ გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადრეული ადრეული ასაკის ბავშვების განათლების პრაქტიკა უკეთეს შემთხვევაში პრევენციული ფსიქოთერაპიის ფორმაა!

ფაქტია, რომ ჩვილობისა და სკოლამდელ ასაკში ბავშვების მომვლელებთან ურთიერთობა ხანგრძლივ გავლენას ახდენს ბავშვებზე. ეს აიხსნება ტვინის განვითარების საფუძველზე. ფსიქოლოგების პროგნოზი არაერთმა კვლევამ დაამტკიცა: ადრეული ასაკის ბავშვების მიჯაჭვულობა აყალიბებს ბავშვის განვითარებად ტვინს. ამ ურთიერთობის ნებისმიერ ასაკში ცვლილება რთული იქნება, რადგან ტვინის ფიზიკური სტრუქტურა ცვლილებას ეწინააღმდეგება.